ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

„სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ არსებული გარკვეული ინფორმაციის შპს „ახალი ქსელებისთვის“ გადაცემის შესახებ

ქ. თბილისი 23 დეკემბერი 2016 წ.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (შემდგომში- **„სამინისტრო“**), წარმოდგენილი მინისტრის მოადგილის, **ზაზა სოფრომაძის** სახით, ამავე სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ- სოციალური მომსახურების სააგენტო **(შემდგომში - "სააგენტო")**, წარმოდგენილი დირექტორის მოადგილის მოვალეობის შემსრულებლის, **კობა სონღულაშვილის** სახით, შპს "ახალი ქსელები" **(შემდგომში - „კომპანია")**, წარმოდგენილი გენერალური დირექტორის, **ნანა შარაშენიძის** სახით და სსიპ-მონაცემთა გაცვლის სააგენტო (შემდგომში – **"მონაცემთა გაცვლის სააგენტო"**), წარმოდგენილი მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თავმჯდომარის **ირაკლი გვენეტაძის** სახით, შემდგომში, ერთობლივად, მხარეებად წოდებულნი, „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის, საქართველოს მთავრობის 2010 წლის 24 აპრილის №126 დადგენილებით დამტკიცებული „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზის ფორმირების წესის“ მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - მონაცემთა გაცვლის სააგენტოს შექმნის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის „დ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2011 წლის 27 დეკემბრის №489 დადგენილებით დამტკიცებული „წესის“ (საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – „112“-ის მომსახურების საფასური, მისი განაკვეთი და გადახდის წესი) მე-3 მუხლის გათვალისწინებით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 ივნისის №190/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების“ მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ლ[1]“ ქვეპუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების მიზანი და საგანი

1.1. „კომპანიის“ მიერ „სააგენტოსგან“ ინფორმაციის გამოთხოვა ხდება თავისი საქმიანობიდან გამომდინარე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – „112“-ის მომსახურების საფასურის გადახდისგან პირის (მონაცემთა სუბიექტის) გათავისუფლების მიზნით;

1.2. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია „სააგენტოს“ მიერ, „კომპანიისთვის“ „სამინისტროს“ და „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ ინფორმაციული ტექნოლოგიების

ინფრასტრუქტურის/ელექტრონული სისტემის (შემდგომში - „ინფრასტრუქტურა“) მეშვეობით, „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ რეგისტრირებული იმ პირის შესახებ ინფორმაციის მიწოდება, რომლის ოჯახის სარეიტინგო ქულა არ აღემატება 70 000-ს;

1.3. „კომპანიისთვის“, ამ მუხლის „1.2.“ პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის მიწოდება ხორციელდება ამ ხელშეკრულებითა და ხელშეკრულების N1 დანართით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

მუხლი 2. კავშირის უზრუნველყოფა

2.1. „კომპანიისთვის“ ინფორმაციის მიწოდება ხორციელდება „სამინისტროს“ და „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ ინფრასტრუქტურის მეშვეობით, რომლებიც უზრუნველყოფენ მის გამართულ მუშაობასა და შეუფერხებლად გამოყენებას;

2.2. ინფორმაციის მისაწოდებლად მხარეთა შორის კავშირი მყარდება დახურული კერძო ქსელის (VPN) საშუალებით, რომელიც აიგება ინტერნეტ სერვისის პროვაიდერის საკომუნიკაციო არხების გამოყენებით. დახურული კერძო ქსელის აგებისას გამოყენებული ქსელური მოწყობილობა უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მინიმალურ მოთხოვნებს:

ა) მარშრუტიზაციისა და IPSec Tunnel ტექნოლოგიის მხარდაჭერა;

ბ) შიფრაციის პროტოკოლის 3DES მხარდაჭერა;

გ) ჰეშირების პროტოკოლის SHA მხარდაჭერა.

2.3. წინამდებარე ხელშეკრულების ამოქმედებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში „სამინისტროს“ და „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ უფლებამოსილი წარმომადგენლები ერთობლივად უზრუნველყოფენ დახურული კერძო ქსელის (VPN) კონფიგურირებას (გამართვას).

მუხლი 3. მხარეთა კომუნიკაციის პირობები

ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საკითხებზე მხარეები ერთმანეთის ინფორმირებას ახდენენ მათ მიერ განსაზღვრული, უფლებამოსილი პირების მეშვეობით, წერილობითი ფორმით, ელექტრონული ფოსტით ან/და სატელეფონო კომუნიკაციის გზით.

მუხლი 4. ინფორმაციის გამოთხოვის და მიწოდების პროცედურა

4.1. „კომპანია“ უფლებამოსილია „სააგენტოდან“, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფორმით, მიიღოს ინფორმაცია, „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ რეგისტრირებული იმ პირის შესახებ, რომლის ოჯახის სარეიტინგო ქულა არ აღემატება 70 000-ს;

4.2. პასუხისმგებლობა იმასთან დაკავშირებით, რომ „კომპანიის“ მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია დაკავშირებულია მხოლოდ წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებისათვის, აგრეთვე, მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალობაზე, ეკისრება „კომპანიას“.

4.3. „სააგენტო“ პასუხისმგებელია ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით, ინფორმაციის გაცემის მომენტისათვის (ინფორმაციის გაცემის თარიღი) „ბაზაში“ დაფიქსირებული მონაცემების სისწორეზე.

4.4. „კომპანიის“ მიერ „სააგენტოსადმი“ წარდგენილი მოთხოვნა უნდა შეიცავდეს მონაცემთა ს უბიექტის პირ ად ნო მერს, რაზედაც „ სააგენტოსგან“ პასუხი დ აუბრუნდება ხელშეკრულების N1 დანართით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, მყისიერად (დროის რეალურ რეჟიმში).

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. **„სამინისტრო“ ვალდებულია:**

ა) უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული კავშირის უზრუნველსაყოფად საჭირო ღონისძიებები, საკუთარი ინფრასტრუქტურის გამართული მუშაობა და შეუფერხებლად გამოყენება;

ბ) მონაცემთა წვდომზე წინასწარ ცნობილი შეფერხებების ან ტექნიკური ცვლილების თაობაზე, აცნობოს „მხარეებს“, არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღით ადრე.

5.2. **„სამინისტრო“ უფლებამოსილია,** მოითხოვოს მხარეებისაგან წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დაცვა.

5.3. **„მონაცემთა გაცვლის სააგენტო“ ვალდებულია:**

ა) უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული კავშირის უზრუნველსაყოფად საჭირო ღონისძიებები, საკუთარი ინფრასტრუქტურის გამართული მუშაობა და შეუფერხებლად გამოყენება;

ბ) არ დაუშვას „სააგენტოსაგან“ მიღებულ ინფორმაციაზე მესამე პირთა დაშვება (წვდომა), „სააგენტოსგან“ მიღებული ინფორმაციის მესამე პირებისათვის გადაცემა, გადაცემის მიზნით დამუშავება/სისტემატიზაცია ან/და სხვაგვარი ხელმისაწვდომობა (გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა), კოპირება/შენახვა, როგორც ხელშეკრულების მოქმე დების ვადის განმა ვლობაში, ისე მისი ვა დის გა სვლის შემდგომ, წინააღმდეგ შემთხვვაში სრული პასუხისმგებლობა ეკისრება მას;

გ) მონაცემთა წვდომაზე წინასწარ ცნობილი შეფერხებების ან ტექნიკური ცვლილების თაობაზე, აცნობოს „მხარეებს“, არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღით ადრე.

5.4. **„მონაცემთა გაცვლილს სააგენტო“ უფლებამოსილია,** მოითხოვოს მხარეებისაგან წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დაცვა.

5.5. **„მონაცემთა გაცვლის სააგენტო“ პასუხისმგებელია** ამ ხელშკრულების ფარგლებში მისთვის ცნობილ ინფორმაციაზე არაავტორიზებული ან არასანქცირებული წვდომის შემთხვევებზე.

5.6. **„კომპანია“ ვალდებულია:**

ა) განახორციელოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული კავშირის უზრუნველსაყოფად საჭირო ღონისძიებები;

ბ) „სააგენტოსაგან“ ინფორმაცია გამოითხოვოს მხოლოდ ამ ხელშეკრულების დანართი N1-ით გათვალისწინებული პირობებით;

გ) არ დაუშვას „სააგენტოსაგან“ მიღებულ ინფორმაციაზე მესამე პირთა დაშვება (წვდომა), „სააგენტოსგან“ მიღებული ინფორმაციის მესამე პირებისათვის გადაცემა, გადაცემის მიზნით დამუშავება/სისტემატიზაცია ან/და სხვაგვარი ხელმისაწვდომობა, კოპირება/შენახვა, (გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა), როგორც ხელშეკრულების მოქმე დების ვადის განმა ვლობაში, ისე მისი ვა დის გა სვლის შემდგომ;

დ) უზრუნველყოს „სააგენტოს“ მიერ ადმინისტრირებადი „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან“ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით ინფორმაციის გამოთხოვა მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი საკუთარი უფლებამოსილებების განსახორციელებლად, მკაფიოდ განსაზღვრული კანონიერი მიზნისთვის და იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია ამ კანონიერი მიზნის მისაღწევად, წინააღმდეგ შემთხვვაში სრული პასუხისმგებლობა ეკისრება მას;

ე) გამოთხოვილი მონაცემების დაცვის მიზნით, მიიღოს უსაფრთხოების შესაბამისი ზომები მათი არასანქცირებული ან/და შემთხვევითი დარღვევის, დაკარგვის, არასანქცირებული შეღწევის, შეცვლის ან გავრცელების წინააღმდეგ. ასევე, არ დაუშვას მათი გამოყენება კანონიერ მიზნებთან (კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ მიზნებთან) შეუთავსებელი გზით;

ვ) ხელშეკრულების ფარგლებში აღრიცხოს პირველი მუხლით გათვალისწინებული სერვისით სარგებლობის შესახებ ინფორმაცია, რომელიც „კომპანიაში" უნდა ინახებოდეს 1 (ერთი) წლის განმავლობაში;

ზ) მიაწოდოს მხარეებს ამ მუხლის „ვ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია მოთხოვნიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში;

თ) აუნაზღაუროს სააგენტოს ამ პუნქტით განსაზღვრული ვალდებულებების დარღვევის შედეგად დამდგარი ზიანი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად

5.7. **„კომპანია" უფლებამოსილია:**

ა) მოითხოვოს მხარეებისაგან წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დაცვა;

ბ) სააგენტოსაგან მოითხოვოს შესაბამისი საკომუნიკაციო საშუალებებისა და პროგრამული უზრუნველყოფის გამართულობა;

გ) გამოითხოვოს პირველი მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ინფორმაცია, საჭიროების მიხედვით, არაერთჯერადად.

5.8. **„სააგენტო" ვალდებულია:**

ა) განახორციელოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული კავშირის უზრუნველსაყოფად საჭირო ღონისძიებები;

ბ) მონაცემთა წვდომზე წინასწარ ცნობილი შეფერხებების ან ტექნიკური ცვლილების თაობაზე, აცნობოს „მხარეებს", არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღით ადრე;

გ) „კომპანიას" ინფორმაცია მიაწოდოს მხოლოდ ამ ხელშეკრულების N1 დანართით გათვალისწინებული პირობებით, ინფორმაციის გაცემის მომენტისათვის (მონაცემების გაცემის თარიღი) „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში" დაფიქსირებული მონაცემების მიხედვით;

დ) „კომპანიის" მიერ, პირველი მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციის მოთხოვნის შემთხვევაში, დანართი N1 შესაბამისად, ინფორმაცია გასცეს დაუყოვნებლივ.

5.9. **„სააგენტო" უფლებამოსილია:**

ა) „პერსონალურ მ ონაცემთა დ აცვის შე სახებ" საქართველოს კ ანონის შეს აბამისად, მონაცემთა დამუშავების კანონიერებაზე კონტროლის განხორციელების მიზნით, „კომპანიას" და „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს" მოსთხოვოს ამ მუხლის 5.6. პუნქტის „ვ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული მონაცემების წარმოდგენა, მოთხოვნიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში, მოთხოვნის შესაბამისი ფორმით;

ბ) კომპანიის მხრიდან 5.6 პუნქტით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში, მოითხოვოს დამდგარი ზიანის ანაზღაურება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 6. მხარეთა პასუხისმგებლობა და დავის გადაწყვეტის წესი

6.1. მხარეთა შორის სადავო საკითხები წყდება მოლაპარაკების გზით, შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავას განიხილავს სასამართლო, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

6.2. ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

6.3. კომპანია პირადად არის პასუხისმგებელი ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისათვის იმ შემთხვევაშიც, როდესაც ელექტრონულ საკომუნიკაციო მომსახურებას ეწევა ქვეკონტრაქტორების მეშვეობით;

6.4. ამ ხელშეკრულების მე-4 მუხლის და 5.6. პუნქტით განსაზღვრული ვალდებულებების დარღვევის ან/და არაჯეროვანი შესრულებისათვის, „კომპანიას" დაეკისრება ჯარიმა თითოეული ასეთი დარღვევისათვის/არაჯეროვანი შესრულებისათვის 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით, რომლის გადახდა განხორციელდება „სააგენტოს" მიერ მითითებულ ანგარიშზე. აღნიშნული ჯარიმის გადახდა არ ათავისუფლებს კომპანიას" „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან და ამ ხელშეკრულების 5.6. პუნქტის „თ" ქვეპუნტით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისაგან.

6.5. ამ ხელშკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

მუხლი 7. ფორსმაჟორი

7.1. მხარეები არ ა რიან პას უხისმგებელნი თავიანთ ი ვალდე ბულებების ს რულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორსმაჟორული, მათ შორის, ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე საომარი მოქმედებები თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ მემორანდუმის შესრულებაზე. მემორანდუმის შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, ფორსმაჟორის გამომწვევ გარემოებათა დასრულებამდე.

7.2. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორსმაჟორული გარემოება 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში აცნობებს მემორანდუმის სხვა მონაწილეებს ვალდებულების შეუსრულებლობის მიზეზებს და მათი შესრულების მოსალოდნელ თარიღს, რის შემდეგაც, ნაკისრი ვალდებულებების შესრულება შეიძლება გადაიდოს ფორსმაჟორის გაგრძელების ვადით ან ხელშეკრულების შეწყდეს მხარეთა შეთანხმებით.

მუხლი 8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა, შეწყვეტა და მასში ცვლილებები

8.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

8.2. თუ ამ მუხლის 8.1. პუნქტით განსაზღვრულ ვადაში მხარეები წერილობით არ გამოთქვამენ ხელშეკრულების გაგრძელების სურვილს, ეს ხელშეკრულება შეწყვეტილად ითვლება. ამ პუნქტით გათვალისწინებული პროცედურა მოქმედებს ყოველი მომდევნო 1 (ერთი) წლიანი მოქმედების ვადის ამოწურვისას.

8.3. წინამდებარე ხელშეკრულება შესაძლებელია შეწყდეს ურთიერთშეთანხმებით. შეწყვეტა შესაძლებელია ასევე, ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, უპირობოდ, ნებისმიერ დროს, ხელშეკრულების დანარჩენ მხარეთათვის, შეწყვეტამდე 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღით ადრე, წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზით. აღნიშნული ვადის გასვლისთანავე ხელშეკრულება ითვლება შეწყვეტილად.

8.4. წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილებების და დამატებების შეტანა დასაშვებია მხარეთა ერთობლივი წერილობითი შეთანხმებით; ხელშეკრულების მხარეები

უფლებამოსილნი არიან მოითხოვონ ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი;

8.5. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, 4 (ოთხი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, თითოეულ მხარეს გადაეცემა თითო ეგზემპლარი.

8.6. დანართი N1 წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს

მუხლი 9. მხარეთა რეკვიზიტები

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზ. N144
საიდენტიფიკაციო კოდი : 211333957

ზაზა სოფრომაძე
მინისტრის მოადგილე

სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო
ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზ. N144,
საიდენტიფიკაციო კოდი: 202178927

კოტა სონღულაშვილი
დირექტორის მოადგილის
მოვალეობის შემსრულებელი

შპს „ახალი ქსელები“
ქ. თბილისი, ა. პოლიტკოვსკაიას N42
საიდენტიფიკაციო კოდი: 211326732

ნანა შარაშენიძე
გენერალური დირექტორი

სსიპ-მონაცემთა გაცვლის სააგენტო
ქ.თბილისი,წმინდა ნიკოლოზის/ნ.ჩხეიძის N2
საიდენტიფიკაციო კოდი: 204577699

ირაკლი გვენეტაძე
თავმჯდომარე

„სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზასთან“ ელექტრონული ურთიერთობის პროტოკოლი

სერვისი და სერვისის ოპერაციები :

პიროვნებების შემოწმება არიან თუ არა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში, სარეიტინგო ქულის დიაპაზონში რეგისტრირებულნი.

სერვისის პარამეტრები:

- პიროვნებების პირადი ნომრების სიმრავლე;
- მომხარებლის სახელი;
- მომხმარებლის პაროლი;

სერვისის გამოძახება

სერვისის გამოძახება შესაძლებელია Request.xml:

Request.xml

```
<?xml version="1.0" encoding="utf-8"?>
<GovTalkMessage xmlns="http://www.govtalk.gov.uk/CM/envelope">
  <EnvelopeVersion>2.0</EnvelopeVersion>
  <Header>
    <MessageDetails>
      <Class>MOH_SSA_CheckPersonsScoreRange</Class>
      <Qualifier>request</Qualifier>
      <Function>submit</Function>
      <CorrelationID>cor</CorrelationID>
    </MessageDetails>
    <SenderDetails>
      <IDAuthentication>
        <SenderID> G3_USER </SenderID>
        <Authentication>
          <Method>clear</Method>
          <Value> PASS </Value>
        </Authentication>
      </IDAuthentication>
      <EmailAddress>nomail</EmailAddress>
    </SenderDetails>
  </Header>
  <Body>
    <Message xmlns="urn:g3.ge:moh:call:MOH_SSA_CheckPersonsScoreRange:v1">
      <PrivateNumbers>
        <string>Private Number</string>
        <string>Private Number</string>
        .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. ..
        <string>Private Number</string>
      </PrivateNumbers>
      <UserName>UserName</UserName>
      <Password>Password</Password>
    </Message>
  </Body>
</GovTalkMessage>
```

Response.xml


```xml
<?xml version="1.0" encoding="utf-8"?>
<GovTalkMessage xmlns="http://www.govtalk.gov.uk/CM/envelope">
  <EnvelopeVersion>2.0</EnvelopeVersion>
  <Header>
    <MessageDetails>
      <Class>MOH_SSA_CheckPersonsScoreRange</Class>
      <Qualifier>response</Qualifier>
      <Function>submit</Function>
      <CorrelationID>cor</CorrelationID>
      <GatewayTimestamp> Gateway Timestamp </GatewayTimestamp>
    </MessageDetails>
    <SenderDetails>
      <IDAuthentication>
        <SenderID />
      </IDAuthentication>
    </SenderDetails>
  </Header>
  <Body>
  <PersonsInFamilyScoreRangeResult
       xmlns="urn:g3.ge:moh:call:MOH_SSA_CheckPersonsScoreRange:v1"
       xmlns:xsd="http://www.w3.org/2001/XMLSchema"
       xmlns:xsi="http://www.w3.org/2001/XMLSchema-instance">
      <ResultStatus>
        <StatusCode>Status Code</StatusCode>
        <StatusDescription> Status Description</StatusDescription>
      </ResultStatus>
      <PeronsUnderPoverty>
        <PersonsInFamilyScoreRangeResultEntity>
          <PrivateNumber> Private Number </PrivateNumber>
          <IsInFamilyScoreRange> IsInFamilyScoreRange </IsInFamilyScoreRange>
        </PersonsInFamilyScoreRangeResultEntity>
              .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. .. ..
        <PersonsInFamilyScoreRangeResultEntity>
          <PrivateNumber> Private Number </PrivateNumber>
          <IsInFamilyScoreRange> IsInFamilyScoreRange </IsInFamilyScoreRange>
        </PersonsInFamilyScoreRangeResultEntity>
      </PeronsUnderPoverty>
    </PersonsInFamilyScoreRangeResult>
  </Body>
  <GovTalkDetails></GovTalkDetails>
</GovTalkMessage>
```


მოძებნის შემთხვევაში **Response.xml** `<Body></Body>` მოთავსებულია სერიალიზირებული `PersonsInFamilyScoreRangeResult` კლასი (იხ. დანართი 1)

მოთხოვნის პასუხის მნიშვნელობები მოცემული ცხრილი #1

ოპერაციის გამოძეხების შემთხვევაში შეცდომის ან Exception შემთხვევაში ბრუნდება შემდეგი სახის XML:

```
<?xml version="1.0" encoding="utf-8"?><GovTalkMessage
xmlns="http://www.govtalk.gov.uk/CM/envelope">
  <EnvelopeVersion>2.0</EnvelopeVersion>
  <Header>
    <MessageDetails>
      <Class>Transaction_Name</Class>
      <Qualifier>error</Qualifier>
      <Function>submit</Function>
      <CorrelationID></CorrelationID>
      <ResponseEndPoint PollInterval="0" />
      <GatewayTimestamp></GatewayTimestamp>
    </MessageDetails>
    <SenderDetails>
      <IDAuthentication>
        <SenderID />
      </IDAuthentication>
    </SenderDetails>
  </Header>
  <Body>
    <Message>
      //Error data hare
    </Message>
  </Body>
</GovTalkMessage>
```

დანართი 1

```
/// <summary>
/// მოთხოვნის პასუხის სტატუსი
/// </summary>
public class ResultStatus
{
    int StatusCode;                 // სტატუსი კოდი
    string StatusDescription;       // სტატუსის განმარტება
}

/// <summary>
/// ოჯახის სარეიტინგო ქულის დიაპაზონში პიროვნებების შემოწმების შედეგი
/// </summary>
[DataContract]
public class PersonsInFamilyScoreRangeResult
{
    public ResultStatus ResultStatu;                    // ოპერაციის სტატუსი
    public List<PersonsInFamilyScoreRangeResultEntity> PersonsInFamilyScoreRange;
        //პირად ნომრებს მიწერილი არის თუ არა პიროვნება ოჯახის სარეიტინგო ქულის
    დიაპაზონში
}

/// <summary>
/// პირად ნომერს მიწერილი არის თუ არა პიროვნება ოჯახის სარეიტინგო ქულის დიაპაზონში
/// </summary>
[DataContract]
public class PersonsInFamilyScoreRangeResultEntity
{
    public string PrivateNumber;        // პირადი ნომერი
    public bool IsInFamilyScoreRange;// არის თუ არა პიროვნება რეგისტრირებული მოცემული
                                        სარეიტინგო ქულების დიაპაზონში
}
```

ცხრილი #1: სტატუსის კოდები და განმარტება

პასუხის კვალიფიცირება	StatusCode	StatusDescription
შეცდომა	-1	Wrong username/password or Access denied
შეცდომა	-1	because of technical gap, it is impossible to search information
შეცდომა	-1	Private Numbers are not Presented
შეცდომა	-1	სისტემის შეცდომა (Exception)
	1	Operation success